



ვიდეო ესენციალე® ფორტე ნ-თან დაკავშირებით, რომელიც ვრცელდება სოციალურ ქსელში, არ შეესაბამება სინამდვილეს

საქართველო, თბილისი – 2016 წლის 17 ოქტომბერი - ვიდეორგოლები ესენციალე® ფორტე ნ-თან დაკავშირებით, რომლებიც ვრცელდება ინტერნეტში და გვატყობინებს კაფსულებში შიგთავსის/მოქმედი ნივთიერების არ არსებობის შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს. სამედიცინო გამოყენების დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, პრეპარატი ესენციალე® ფორტე ნ წარმოადგენს მყარ, არაგამჭვირვალე ჟელატინის ყავისფერ კაფსულას, რომლის შიგთავსია მოყვითალო-ყავისფერი ზეთოვანი პასტისებური მასა; იმისათვის, რომ დაინახოთ შიგთავსი, საჭიროა კაფსულის გახსნისას მის კორპუსზე ხელის მოჭერა.

სოციალურ ქსელებში პრეპარატ ესენციალე® ფორტე ნ-ის შემადგენლობის არ არსებობის შესახებ ვიდეორგოლების გავრცელების ძირითად მიზეზს წარმოადგენს მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა სამკურნალო საშუალებების სწორად გამოყენების შესახებ. სპეციალისტების რეკომენდაციით, პირველ რიგში, ნებისმიერი პრეპარატის გამოყენებამდე, საჭიროა შეფუთვაში არსებული ჩანართის -გამოყენების ინსტრუქციის - წაკითხვა და პრეპარატის აღწერილობასთან შესაბამისობაში დარწმუნება. სასურველია ინსტრუქციის შენახვა, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას პრეპარატის აღწერილობასთან, უკუჩვენებებთან, მიღების წესთან და გვერდით მოქმედებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საქართველოში რეგისტრირებული სანოფის პრეპარატების ინსტრუქციები განთავსებულია კომპანია სანოფის საიტზე www.sanofi.ge. პრეპარატის ხარისხის კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო ორგანოები.

დენის ასტანინმა, ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონში კომპანია სანოფის უსაფრთხოების განყოფილების დირექტორმა, სიტუაციასთან დაკავშირებით გააკეთა შემდეგი კომენტარი: “ვიდეორგოლში ნაჩვენები ადამიანების გადმოცემით, ისინი ხსნიან პრეპარატ ესენციალე® ფორტე ნ-ის კაფსულებს. ჩვენ არ გვაქვს პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ეს ფალსიფიკატი. თუმცა, საქართველოში ჩვენ მიერ არ არის დაფიქსირებული პრეპარატ ესენციალე® ფორტე ნ-ის ფალსიფიკაციის შემთხვევები“.

ნადეჟდა ლაბოდოვსკაიამ, ცენტრალური აზიის რეგიონში სანოფის კომუნიკაციის განყოფილების ხელმძღვანელმა გაგვიმარტა, თუ როგორ შეუძლია მომხმარებელს

თავის დაცვა სამკურნალო საშუალებების შექმნისას: “ყურადღება მიაქციეთ შეფუთვას - მასზე აუცილებლად უნდა იყოს წარწერები რუსულ ენაზე. ფალსიფიკატის გარჩევა შეიძლება შეუიარაღებელი თვალით ბეჭდვის ხარისხის, შეფუთვის ფერის და სხვა ნიშნების მიხედვით. სამკურნალო საშუალებები უნდა შეიძინოთ მხოლოდ ავთიაქებში“.

პრეპარატის ხარისხთან დაკავშირებით ეჭვის შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სააგენტოს. ასევე, სანოფი-საქართველოში მოქმედებს ცხელი ხაზი, სადაც გაგიწევენ სამედიცინო მხარდაჭერას სანოფის პროდუქტებთან დაკავშირებით.

სანოფის პრეპარატებთან დაკავშირებით სამედიცინო კითხვები (გარდა პრეპარატის ბაზაში არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული კითხვებისა) მიიღება ტელეფონით:

+995 595 33 13 36

Email: Georgia.Pharmacovigilance@sanofi.com

სანოფის შესახებ

სანოფის ჯგუფი წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს ჯანდაცვის სფეროში. კომპანია შეიმუშავებს და ნერგავს თერაპიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია პაციენტების მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. კომპანიის განვითარების კონცეპცია ემყარება ზრდის შემდეგ პლატფორმებს: შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის თანამედროვე გადაწყვეტილებები, ვაქცინები ადამიანისთვის, ინოვაციური სამკურნალო საშუალებები, ურეცეპტო სტატუსის მქონე პრეპარატები და ჯანმრთელობის საგნები, განვითარებადი ბაზრები, ვეტერინარული პრეპარატები და კომპანია ჯენზაიმი. სანოფის ჯგუფის აქციების კოტირება ხდება პარიზის (EURONEXT: [SAN](#)) და ნიუ-იორკის (NYSE: [SNY](#)) საფონდო ბირჟებზე.

სანოფი წარმოდგენილია საქართველოში 1997 წლიდან.

მედიასთან საკონტაქტო პირი:

ნადეჟდა ლაბოდოვსკაია

სანოფი ყაზახეთი

E-mail: Nadezhda.labodovskaya@sanofi.com